სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება №125

დ. ადიგენი

6 დეკემბერი 2018 წელი

ერთის მხრივ ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია (მის.: დ. ადიგენის თამარ მეფის ქ.№5, ა/ა GE24NB0330100200165022, ს/კ 222729162, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22) წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის ზაქარია ენდელაძის სახით შემდგომში „შემსყიდველი" და მეორეს მხრივ შპს „საგზაო სამშენებლო სამმართველო №2" (მის: ქ. ახალციხე, შ.რუსთაველის ქ.№99, ბ.24, ს/კ 424071168, ა/ა GE20TB7720936050100001, სს „თი ბი სი ბანკი" ბანკის კოდი TBCBGE22) შემდგომში „მიმწოდებელი" წარმოდგენილი დირექტორის ავთანდილ კაჭკაჭაშვილის სახით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ „საქართველოს კანონის 16[1] მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად „მიმწოდებლის" მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების საფუძველზე **NAT180017841** ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში „ხელშეკრულება") „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული შეთანხმება, რომელიც ხელმოწერილია მხარეების მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მითითებული;

1.2. „შემსყიდველი" ნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3. „მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც „შემსყიდველთან" გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4. „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს „შემსყიდველმა" „მიმწოდებლის" მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5. დღე, კვირა, თვე ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული;

2. ხელშეკრულების ობიექტი

2.1 ხელშეკრულების ობიექტია ადიგენის უნიციპალიტეტის 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის სახსრებით **დაბა ადიგენისა და დაბა აბასთუმნის შიდა ქუჩების, სოფლებთან მისასვლელი, შიდა საუბნო და სასაფლაოებთან მისასვლელი გზების თოვლის, ნამქერისა და ყინულის საფარისაგან გაწმენდის მომსახურების შესყიდვა** ამ სამუშაოთა შესრულების აუცილებლობის დადგომისთანავე სახელშეკრულებო პერიოდში - სულ *400 კმ* წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

- კლასიფიკატორის კოდი -90600000 - ქალაქის ან სოფლის ზონების დასუფთავება და სანიტალური მომსახურება, ასევე მათთან დაკავშირებული მომსახურებები; 90620000 - თოვლისაგან გაწმენდა
- 90630000 - ყინულისაგან გაწმენდა

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 30588 (ოცდაათიათასხუთასოთხმოცდარვა) ლარს და 34 თეთრს, დღგ-ს გათვალისწინებით;

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, „მიმწოდებლის" მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე;

3.2. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება იწარმოებს ეტაპობრივად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულებული მომსახურების მოცულობის მიხედვით, ინსპექტირების ჯგუფის დასკვნის, მიღება-ჩაბარების აქტის, შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტირისა, ან და სასაქონლო ზედნადების, შესრულებული სამუშაოს აქტის (ფორმა №2) საფუძველზე 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. „მიმწოდებლი" „შემსყიდველს" წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს;

4.2. მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს არანაკლებ შემდეგი მონაცემები: შესრულებული სამუშაოს დასახელება, მოცულობა, რაოდენობა და ღირებულება;

5. მომსახურეობის გაწევის ადგილი და ვადა

5.1. მომსახურების ადგილად განისაზღვრება დ. ადიგენი, დ. აბასთუმანი და შესაბამისი ტერიტორიული ორგანოები;

5.2. მომსახურება იწარმოებს ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 30 აპრილის ჩათვლით;

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 „შემსყიდველს" უფლება აქვს:

- „მიმწოდებლისაგან" მოითხოვოს ხელშეკრულებით გათავალისწინებული ყველა პირობის დაცვა;
- ნებისმიერ დროს განახორციელოს „მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

6.2 „შემსყიდველი" ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან" ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

6.3 „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

- მოსთხოვოს „შემსყიდველს" შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება, ხელშეკრულებით გათავლისწინებული პირობებით.

6.3 „მიმწოდებელი" ვალდებულია:

- გასწიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების მე-6.2 მუხლში;
- უზრუნველყოს სამუშაოს შესრულება წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად;

კერძოდ: დიდთოვლობის შემთხვევაში უნდა მოხდეს დ. ადიგენისა და დ. აბასთუმანში შიდა ქუჩების, სოფლებთან მისასვლელი გზების, შიდა საუბნო გზებისა და სასაფლაოებთან მისასვლელი გზების თოვლის, ნამქერისა და ყინულის საფარისაგან გაწმენდა, ამ სამუშაოთა შესრულების აუცილებლობის დადგომისთანავე სულ გასაწმენდია მომსახურების გაწევის პერიოდში 400 კმ გზა, დაბა ადიგენის და დ.აბასთუმანის ცენტრალურ ქუჩებიდან თოვლის (დაგროვებული თოვლის) გატანა -სულ 73 მ 3 -ის ოდენობით. – ქვიშა–მარილის ნარევის მოყრა სოფლების: ბოლაჯურის; ჩორჩანის; ქვემო ენთელი-ზემო ენთელი- ფხერო-შოყის მიმართულებით; დიდი სმადის; უდის პირველი საშუალო სკოლიდან-ქვემო ენთელის მიმართულებით; წრე-ზანავი-გომაროს მიმართულებით; სოფ. ადიგენის; არალი-წარბასთუმანის მიმართულებით; ლელოვანი-სამყრე-ღორძის მიმართულებით; ვარხანი-ხევაშენი-ნაქურდევის მიმართულებით; ლელოვანი-ამხერის მიმართულებით; ვარხანი-ხარჯამი-წახანი-ქიქინეთის მიმართულებით; მლაშე-ფლატეარზნეს მიმართულებთ; ჭელის; ჭელა-ჭეჭლა-მოხეს მიმართულებით; გორგულის; იჯარეთის; კახარეთის; დერცელის (ვალისონი); კეხოვანის; დ.ადიგენი ჩადუნელის ქუჩის; დ.ადიგენი ბალახაშვილის ქუჩის(ძველი აღმასკომის და ეკლესიის მიმართულება); სოფ.აბასთუმანი- საღრძეს მიმართულებით; უდე-ზაზალოს მიმართულებით; პატარა სმადის; უნწის; მოხე-ღორთუბანი-ზედუბანის მიმართულებით; საირმეს; ნამინაურის; დიდი ზანავი- ჭულეს მიმართულებით მისასვლელი გზების ქანობიან მონაკვეთებზე. - აუცილებელ პირობას წარმოადგენს დიდთოვლობის შემთხვევაში ყველა დასახლებულ პუნქტში მიმავალი გზების გაწმენდა შეტყობინების მიღებიდან (სატელეფონო ან სხვა ფორმით) არაუგვიანეს 6 საათისა, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს 3 (სამი) ერთეული ტექნიკის მობილიზება. - „მიმწოდებელმა'' გაწმენდითი სამუშაოები უნდა დაიწყოს მხოლოდ „შემსყიდველის'' მოთხოვნის საფუძველზე მისგან სპეციალურად ამისათვის გამოყოფილი ზედამხედველისა და შესაბამისის ტერიტორიული ორგანოებიში მერის წარმომადგენლის მითითებით. - შესაბამისი ტერიტორიულ ორგანოში მერის წარმომადგენლის მითითებულ ადგილზე პატარა გროვების სახით დაყაროს ქვიშა-მარილის ნარევი; - ასფალტიანი გზები უნდა გაიწმინდოს ბორბლიანი ტრაქტორით დაგებული ასფალტის მთელ საფარზე, ხოლო გრუნტის გზაზე გაიწმინდოს ორ მხრივად და გაკეთდეს ე.წ „ჯიბეები" ავტომანქანების გვერდის ასაქცევად.

6.4 იმ შემთხვევაში, თუ შესრულებული სამუშაო არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს (რის შესახებადაც მათ წერილობით აცნობებს „შემსყიდველი'') საკუთარი ხარჯებით აღმოუფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი.

7. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

7.1. „შემსყიდველი'' უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

7.2 ხელშეკრულების ინსჰქტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ინსპექტირების ჯგუფი მერაბ გიორგაძის ხელმძღვანელობით და შესაბამისი ტერიტორიული ერთეულის რწმუნებულები;

7.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ „შემსყიდველი'' დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს'' წუნდების მიზეზების მითითებით.

7.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს'' საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაამისად.

8.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეებს დაეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის ხელშეკრულების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით, იმ შემთხვევაში თუ მიწოდების ვადა დაირღვევა და გადაცდება შვიდ კალენდარულ დღეს ,,შემსყიდველი'' იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ცალმხრივად ხელშეკრულება და მოთხოვოს ,,მიმწოდებელს'' ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;

8.3 ხელშეკრულების ცამლხრივად შეწყვეტის შემთხვევაში ,,მიმწოდებელს'' დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 3%-ის ოდენობით.

8.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ერთეულ ფაქტზე 200 (ორასი) ლარის ოდენობით, რომლის გადახდა მოხდება ასანაზღაურებელი თანხიდან გამოქვითის საშუალებით ან მის მიერ ამ თანხის გადახდის გზით.

8.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

9.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

9.3 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრლების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის გათვალისწინებული პირობების დადგომს შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10% მეტი ოდენობის გაზრდა.

9.5 ხელშეკრულებაში პირობების ცვლილება ფორმდება დანართის სახით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს მის პასუხისმგებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებები შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორი გარემოებების შედეგი.

10.2. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათ კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ,,შემსყიდველისა" ან ,,მიმწოდებლის" შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორი გარეომოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობების მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას და ცდილობს გამონახოს შესრულების ისეთი ალტერნატიურლი ხერხები, რომლების დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

11.1 ,,შემსყიდველს'' უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, ასევე დააკისროს ,,მიმწოდებელს'' ხელშეკრულების გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად:

ა) თუ ,,მიმწოდებელი'' არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;
ბ) თუ ,,შემსყიდველისათვის'' ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ,,მიმწოდებელი'' ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) ,,მიმწოდებლის'' გაკოტრების შემთხვევაში;
დ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს ,,მიმწოდებელს'' დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

11.3 11. 1 პუნქტის შემთხვევებში ,,შემსყიდველი'' ვალდებულია აუნაზღაუროს ,,მიმწოდებელს'' ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება;

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

13. სხვა პირობები

13.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ საკუთარი სახელით, ხარჯითა და რისკით.

13.3. ხელშეკრულება შედგენილი ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან

13.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

13.5. ყველა დანართი და ხელშეკრულების დამატება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და სავალდებულოა შესასრულებლად.

14.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 მაისის ჩათვლით.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

,,შემსყიდველი"

ადიგენის მუნიციპალიტეტის მერია
დ. ადიგენი, თამარ მეფის ქ№5;
სახელმწიფო ხაზინა TRESGE22;
ა/ა GE24NB0330100200165022, ს/კ 222729162;

მუნიციპალიტეტის მერი: ზ. ნოდელაძე

,,მიმწოდებელი"

შპს ,,საგზაო სამშენებლო სამმართველო №2";
მის: ქ. ახალციხე, შ.რუსთაველის ქ.№99;
ს/კ 424071168, ა/ა GE06LB0113176248085000
სს ,,ლიბერთი ბანკი'' ბანკის კოდი LBRTGE22;

დირექტორი: ა. კაკაბაძის

შემოსავლების სამსახური

საიდენტიფიკაციო კოდი/პირადი ნომერი
424071168

გადამხდელის დასახელება
შპს საგზაო სამშენებლო სამმართველო #2

ხელმძღვანელი
ავთანდილ კაჭკაჭაშვილი

გადამხდელის მისამართი
ახალციხის რაიონი / რუსთაველი #99, ბ. 24

ელ-ფოსტა

ტელეფონი

ც ნ ო ბ ა

ეძლევა, "შპს საგზაო სამშენებლო სამმართველო #2"-ს (ს/კ 424071168) მასზედ, რომ შემოსავლების სამსახურის ერთიანი ელექტრონული ბაზის მონაცემების მიხედვით სსკ-ს 158 მუხლის შესაბამისად ნებაყოფლობითი წესით რეგისტრირებულია დღგ–ს გადამხდელად 15/01/2016-დან.

თარიღი: 06/12/2018

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

დ. ადიგენი

6 დეკემბერი 2018 წელი

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით ხელშეკრულებაში ,,შემსყიდველი" მხარის წარმომადგენელები ხელის მოწერით ვადასტურებთ, რომ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2018 წლის 6 დეკემბერს გაფორმებული N125 ხელშეკრულებაში შპს ,,საგზაო სამშენებლო სამმართველო №2"-თან მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

მუნიციპალიტეტის მერი — ზაქარია ენდელაძე

მიღება-ჩაბარების სამუშაო ჯგუფი:

ჯგუფის ხელმძღვანელი
მერის პირველი მოადგილე — არსენ ბალახაშვილი

წევრები:

ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა
და ეკონომიკური განვითარების სამსახურის საჯარო
დაწესებულების პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული
ერთეულის ხელმძღვანელ სამსახურის უფროსის მ/შ: — გურამ ბოჩიკაშვილი

ინსპექტირების ჯგუფი:

ჯგუფის ხელმძღვანელი:

ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის,
სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის
სამსახურის საჯარო დაწესებულების მესამე რანგის
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი: — მერაბი გიორგაძე

წევრები:

ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის,
სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის
სამსახურის საჯარო დაწესებულების მესამე რანგის
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი: — ანტონ გელაძე

ადიგენის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების
სამსახურის საჯარო დაწესებულების მესამე რანგის
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი: — ვახტანგ პარუნაშვილი